ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

N 8228/01
19/08/2019

8228-01-2-201908191759

შპს "ჭიორა ჰესის" დირექტორს
ბატონ გიორგი გიგინეიშვილს
მის: თბილისი, ილია ჭავჭავაძის I შესახვევი, N12

ბატონო გიორგი,

სამინისტრომ განიხილა თქვენი 2019 წლის 29 ივლისს (წერილი N 10878) წარმოდგენილი დამატებითი დოკუმენტაცია, რომელიც ეხება მდინარე ჩვეშურაზე 15,85 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (ჭიორა ჰესი) მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტს.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ არის გათვალისწინებული საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2019 წლის 10 ივნისის N 5815/01 და 23 ივლისის N 7225/01 წერილებით მოთხოვნილი ინფორმაცია. კერძოდ, წარმოდგენილ განცხადებაში მითითებულია, რომ დოკუმენტში გასასწორებულია ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებები, ასახულია პროექტის ალტერნატივები ბიომრავალფეროვნების კუთხით, მოცემულია საველე კვლევის ანგარიშები, თუმცა აღნიშნულ საკითხებზე ინფორმაცია (ფლორის კვლევის გარდა) წარმოდგენილ ანგარიშში არ არის მოცემული.

- ამასთან, არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია მცენარეთა იმ სახეობების და რაოდენობის შესახებ, რომელთა გარემოდან ამოღება იგეგმება პროექტის განხორციელების შედეგად;
- არ არის მოცემული დეტალური ინფორმაცია ,,ამრეკლებთან" და მათ ეფექტურობასთან დაკავშირებით;
- ასევე მოცემული უნდა იყოს დასაბუთებული ინფორმაცია მდინარეებში (მდ. ჩვეშურასა და მდ. ხვარგულაში) დარჩენილი წყლის ეკოლოგიური ხარჯის საკმარისობის შესახებ ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების თვალსაზრისით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე სამინისტრო აჩერებს ადმინისტრაციულ წარმოებას. გთხოვთ, უზრუნველყოთ ერთი თვის ვადაში ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით დაზუსტებული დოკუმენტაციის წარმოდგენა სამინისტროში, რის შემდგომაც, სამინისტრო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განაახლებს ადმინისტრაციულ წარმოებას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

პატივისცემით,

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ./ფაქსი: +(995 32) 2378013
www.moa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone/Fax:+(995 32) 2378013

სოლომონ პავლიაშვილი

მინისტრის მოადგილე